**იაკობ გოგებაშვილის სახელობის**

**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ს ი ლ ა ბ უ ს ი**

**ფაკულტეტი –** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**კათედრა –** ქართული ფილოლოგიის

**სალექციო კურსი – ქართული ენის ზოგადი კურსი**

**კურსის კოდი: P.2.K.08**

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი)

**სალექციო კურსის სტატუსი –** სავალდებულო

**ლექტორი: სრული პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი**

საკონტაქტო ტელეფონი: 7-61-05; მობ. 893-14-64-05

ელ.ფოსტა: **nunu.geldiashvili@gmail.com** თესაუ, I კორპუსი, II სართული, ქართული ფილოლოგიის კათედრა, ტ. 7-63-17.

სტუდენტები დამატებით მიიღებიან: ხუთშაბათს – $13^{00}$ – $14^{00}$ სთ.

კურსი ისწავლება სამაგისტრო საფეხურზე, ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სპეციალობის I კურსის I სემესტრში.

კურსის ხანგრძლივობაა 15 კვირა – 125 საათი.

ა/. სააუდიტორიო – 45 სთ. (ლექცია-30, პრაქტიკული 15);

ბ/. დამოუკიდებელი – 80 სთ.

კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

კურსი მოიცავს სალექციო-თეორიულ და სასემინარო-პრაქტიკულ სამუშაოს. სწავლება წარიმართება ინტერაქტიურად.

**სალექციო კურსის მიზანი –** კურსის მიზანია ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსის ერთიანობაში წარმოდგენა; საკვანძო საკითხების სიღრმისეული ანალიზი. საბაკალავრო საფეხურზე შეძენილი ცოდნის სისტემატიზაცია. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს: ა/ VII-XII კლასებში შესასწავლი ლექსიკური და ფონეტიკური საკითხების გამოკვეთა; ბ/ მეტყველების ნაწილების მორფოლოგიური კლასიფიკაცია და მათი სინტაქსური ფუნქციების ანალიზი; გ/ წინადადების ტიპებისა და წინადადებაში სიტყვათგანლაგების პრინციპების განხილვა-დაუფლება.

**პრერეკვიზიტი:** **არ გააჩნია;** სასურველია, სტუდენტს ბაკალავრიატში მოსმენილი ჰქონდეს ქართული ენის გრამატიკის შესაბამისი კურსი.

**სალექციო კურსის შედეგი:** კურსის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს ექნება ამომწურავი ცოდნა ქართული ენის თეორიულ საფუძვლებში (ფონეტიკა, ლექსიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა, ფრაზეოლოგია), რის შედეგადაც იგი თავისუფლად შეძლებს მიზნის მიღწევას ყველა იმ სტანდარტში, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით (VII-XII კლ.); პრაქტიკული ენობრივი უნარ-ჩვევების სისტემური ცოდნა კი დაეხმარება მას პიროვნული თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევაში; წარმატებულ პრეზენტაციასა და კომუნიკაციაში.

| | **ზოგადი კომპეტენციები** | **დარგობრივი კომპეტენციები** |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება.** | მეცნიერული აღლოს ჩამოყალიბება; ლინგვისტური გემოვნება. | სიღრმიდეული ცოდნა ქართული ენის გრამატიკის თეორიული საფუძვლებში |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა ქართულ ენასა და ლიტერატურაში |
| **სწავლის უნარი** | საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა. | ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება; |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | დებატებისა და დისკუსიების დროს სწორი და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი |
| **კომუნიკაციის უნარი** | პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია | ლინგვისტურად გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. შეაქვს წვლილი პიროვნული ღირსებებისა და მოქალაქეობრივი ვალდებულებების დამკვიდრებაში | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას; ცდილობს დაამკვიდროს ახალი ღირებულებები |

## სალექციო კურსის სტრუქტურა

I **კვირა:** ა/ სტუდენტები გაეცნობიან სილაბუსს და შეფასების კრიტერიუმებს, საგნის არსს და ამოცანებს.

ბ/ **სალექციო თემა** – ქართული ენის კურსის შემადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთ მიმართება.

**ლიტერატურა:** 1. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.3-10

2. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I ნაწ. გვ.5-19

II-III კვირა

**სალექციო თემა** – ქართული ენი ბგერითი და ლექსიკური შედგენილობა. ლექსიკის გამდიდრების საშუალებები ქართულში. მხატვრული ენის საკითხები.

**ლიტერატურა:** 1. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I ნაწ. გვ. 20-80

2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 218-230

3. ლ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 325-340

4. ნ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.15-25

IV-V კვირა

**სალექციო თემა** – სახელთა (არსებითი, რიცხვითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი) გრამატიკული კატეგორიები, ბრუნვისა და რიცხვის საკითხი ქართულში.

**ლიტერატურა:** 1. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-70

2. ა. ონიანი, დასახ ნაშრომი, გვ.45-90

3. ანტ. კიზირია, დასახ. ნაშრომი (პრაქტიკული სავარჯიშოები).

VI-VII კვირა

**სალექციო თემა** – ზმნა. ზმნის მორფოლოგიური კატეგოროები და მათთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

**შუალედური წერა**

**ლიტერატურა:** 1. ა. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-170

2. ა. შანიძე, დას. ნაშრომი, გვ. 132-165

3. ანტ. კიზირია დასახ. ნაშრომი (სავარჯიშოები).

VIII კვირა

**სალექციო თემა** – სახელზმნა. საწყისი და მიმღეობა.

**ლიტერატურა:** 1. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 274-290

2. ა. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173-176

3. ანტ. კიზირია, დასახ. ნაშრომი (სავარჯიშოები).

**IX კვირა**

**სალექციო თემა** – უდეტრები (ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, ნაწილაკი, შორისდებული).

**ლიტერატურა:** 1. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 291-310

2. ა. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-181

3. ანტ. კიზირია, დასახ. ნაშრომი (სავარჯიშოები).

**X კვირა XI კვირა**

**სალექციო თემა** – მეტყველების ნაწილთა სინტაქსური ფუნქციები. მათი რიცხვში შეთანხმების საკითხები.

**ლიტერატურა:** 1. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ.60-190

2. ანტ. კიზირია, დასახ. ნაშრომი (სავარჯიშოები).

**XII კვირა**

**სალექციო თემა** – წინადადების აღნაგობა და სიტყვათა რიგის საკითხები ქართულში. სინონიმური წინადადებები და მათი ემოციური დატვირთვის საკითხი.

**პრეზენტაციები**

**ლიტერატურა:** 1. ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 215-345 (შერჩევით)

2. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ.162-188; 240-246

**XIII კვირა**

**სალექციო თემა** – ტექსტი. მეტყველების ტიპებისა და მეტყველების სტილის საკითხები. საკუთარი და სხვისი მეტყველება ტექსტში. მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი.

**ლიტერატურა:** 1. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ.190-210

2. ა. არაბული, ნ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.7-60

**XIV კვირა — შუალედური წერა**

**სალექციო თემა** – ენობრივი კონსტრუქციები ქართულში. პუნქტუაციის საკითხები.

**ლიტერატურა:** 1. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ.280-287

2. ლ. კვაჭაძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 479-482

3. ნ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-40

**XV კვირა**

**შემაჯამებელი მუშაობა, ტექსტების ანალიზი, პრეზენტაციები.**

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები** – სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ **100** ქულიანი სისტემით. **გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

ა/. **ორი შუალედური წერა** ––– მაქსიმუმ **30** ქულა, თითოეული მაქსიმუმ **15** ქულა (VIII, XIV კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება. ***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. **დავალება — თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:**
   - საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება — 4 ქულა;
   - ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება— 4 ქულა;
   - წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა ––– 2 ქულა;

     დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა ––– 1 ქულა;

     10-ზე მეტი შეცდომა ––––––––– 0 ქულა
2. **დავალება — პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**
   - დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება—3 ქულა;

     ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა;

     ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;

     არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი ––– 0 ქულა.
   - **წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;**
   - არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა––––– 0 ქულა.

ბ/. **ზეპირი სააუდიტორიო აქტივობები –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა) ;
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;
- პრეზენტაციის კულტურა.

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

გ/. **საშინაო დავალება/რეფერატი** –– მაქსიმუმ 10 ქულა,

**შეფასების კრიტერიუმები:**

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ––––– 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა –––––– 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) ––– 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა –––––––– 2 ქულა.

**II. დასკვნითი გამოცდა ––– მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)**

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**მოთხოვნები – ა/. ქცევა –** თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

**ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და პლაგიატობა –** საშინაო დავალებები – 0 ქულა,
შუალედური წერა – 0 ქულა
საბოლოო გამოცდა – 0 ქულა.

**ძირითადი ლიტერატურა:**


1. **ა. შანიძე,** ქართული ენის გრამატიკა, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962;
2. **ლ. კვაჭაძე,** თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომც. „განათლება“, თბ., 1988;
3. **ა. არაბული,** ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005;
4. **ა. არაბული, ნ. შარაშენიძე,** ქართული ენა (ტექსტების ანალიზი და მოდელირება. მართლწერის საკითხები, X კლ. სახელმძღ. გამომცემლობა „წყაროსთვალი“, თბ., 2006.

**დამატებითი ლიტერატურა:**


1. **ალ. ონიანი,** თანამედროვე ქართული სალიტ. ენა, ს.ს. ორბელიანის სახ.სახელმწ. უნივერსიტ. გამომც. თბილისი, 2003;
2. **ლ. კვაჭაძე,** ქართული ენა, ნაწ. I გამომც. „განათლება“, თბ., 1981;
3. **ლ. სანიკიძე,** ქართული ენის პრაქიკული სტილისტიკა, უნივერსიტეტის გამომც. თბ., 1999;
4. **ნ. შარაშენიძე,** როგორ ვწეროთ უკეთესად, სავარჯიშოების კრებული, „დიოგენე“, თბ., 2007;
5. **ანტ. კაზირია,** ქართული ენა (პრაქტიკუმი),გამომც„„თბილისი",თბ., 1984.


**ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში**